



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს
გენერალური დირექტორი



KA990167688920918

№02/25

24 / მაისი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის №02/2 ბრძანებაში ცვლილების
შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის
63-ე მუხლის შესაბამისად,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ა:

1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის რეკომენდაციის საფუძველზე (ოქმი № 8; 2018წ.) „კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2018 წლის N02/2 ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების დანართის რიგითი № 4 ძეგლის სახელწოდება ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტის მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №4).

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიძე

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
4.		<p>ლალისყურის ჩოლოყაშვილთა ციხის კომპლექსი</p> <p>(ციხე-გალავანი; ეკლესია; სასახლე.)</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლალისყური</p> <p>(GPS კოორდ. 42.080607° 45.431419° 42.080409° 45.432631° 42.079438° 45.432425° 42.079693° 45.431102°)</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>XVIII საუკუნის</p> <p>დასაწყისი; XIX საუკუნე</p>